ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 165

ქ.ქუთაისი 05 აგვისტო 2020 წელი.

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ - ა(ა)იპ „სპეციალური სერვისები" წარმოდგენილი მისი დირექტორის კონსტანტინე ჯავახაძის სახით, და მეორე მხრივ - შპს ,,თეგეტა მოტორსი" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის ჟორა რუხაძის (ბრძანება #3; გაცემული 2020 წლის 10 იანვრის, შპს „თეგეტა მოტორსის" გენერალური დირექტორის ავთანდილ წერეთლის მიერ) სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები",ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა აწარმოა მოლაპარაკება მიმწოდებლთან გამარტივებული შესყიდვით ***საკუთარი შემოსავლებიდან*** შემდეგი საქონლის მიწოდებაზე:

	საქონლის დასახელება	CPV კოდი	რ-ბა	ერთ ფასი	ფასი
1	ჰერმეტიკის პისტოლეტი	44512000	1	12,00	12,00
2	სოლიდოლის საპოხი შპრიცი	44512000	1	33,00	33,00
	სულ				45,00

2.2. შესყიდვის დანაყოფის კოდებია: CPV 44500000;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

3.2. შესასყიდი მომსახურების ღირებულება (შემდგომში ,,ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს 45,00 (ორმოცდახუთი) ლარს.

4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე სტანდარტებს და ნორმებს.

5. შესასყიდი ობიექტის მიწოდების ფორმა, ვადები და ადგილი

5.1. შესყიდვის მომსახურების მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) დღის ვადაში.

6. შესასყიდი ობიექტის მიღება ჩაბარების წესი

6.1. შესასყიდი მომსახურების მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტით, რაც ასევე ადასტურებს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2. თუ აღმოჩნდება, რომ მომსახურება უხარისხო ან/და ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანების აღმოფხვრას.

6.3. საქონლის (მომსახურების) მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები არიან ა(ა)იპ „სპეციალური სერვისები"-ს ნდობით აღჭურვილი პირები, რომლებიც მიღებას ახორციელებენ ინსპექტირების განმახორციელებელი პირების თანდასწრებით.

6.4. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

7. ანგარიშწორება

7.1. მომსახურების ღირებულება დაიფარება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან მიმწოდებლის მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან არა უგვიანეს **10 (ათი) სამუშაო დღისა;**

7.2. ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
8.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს „მიმწოდებელი“ ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ საქონლის ღირებულება;
8.2. „შემყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. შეამოწმოს მიწოდებული **მომსახურების** ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
8.2.2. მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრელებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.
8.2.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
8.2.4. მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო **მომსახურების** აღმოფხვრა.
8.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
8.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
8.3.2. მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლში აღნიშნული **მომსახურება** და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საკუთრებაში.
8.3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული **მომსახურების** მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს „შემსყიდველი“ ყველა განსაკუთრებული გარემოებების შესახებ;
8.3.4. აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.
8.3.5. საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო **მომსახურების** აღმოიფხვრას.
8.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.4.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს„ მიწოდებული **მომსახურების** ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
8.4.2. მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების **ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოლაპარაკების დაწყებიდან **10 (ათი)** დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

11.5. წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას.

11.6. მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11.8 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

12. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „სპეციალური სერვისები“	**შპს „თეგეტა მოტორსი“**
ს/კ: 412704612	ს/კ: 202177205
მის: ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ.#55	მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5
ტელ: 0431 29 97 67 ; 29 87 70.	ტელ: 224 44 44; 591408550; 591408552.
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა 743167499	ა/ა GE80TB 0600 0000 2446 7853
დირექტორი: კონსტანტინე ჯავახაძე	**სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი: ჟორა რუხაძე**

Tegeta Motors LLC

Digitally signed by Tegeta Motors LLC
DN: cn=Tegeta Motors LLC, 2.5.4.97=NTRGE-202177205, o=••••••••• •••••••, c=GE
Date: 2020.08.05 11:15:23 +04'00'

წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ქუთაისი 05 აგვისტო 2020 წელი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ა(ა)იპ სპეციალური სერვისების დირექტორი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შპს „თეგეტა მოტორსთან" 2020 წლის 05 აგვისტოს გაფორმებულ #165 ხელშეკრულებასთან მიმართებაში მისი მხრიდან არ ვლინდება ინტერესთა კონფლიქტი.

ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების"

დირექტორი: კონსტანტინე ჯავახაძე

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ დასახელებული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ა(ა)იპ „სპეციალური სერვისები"-ს მიერ 2020 წლის 05 აგვისტოს შპს „თეგეტა მოტორსთან" გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების №165 ხელშეკრულებით შესყიდული მომსახურების შესყიდვაში და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი

საწყობის განყოფილების უფროსი: ოთარი გიორგაძე

წინამდებარე ინფორმაცია ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 პუნქტის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.